მატჩის მოგება შეიძლებოდა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 21 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) 0:0.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, ხართიშვილი, ასათიანი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

“ტორპედო”: კავაზაშვილი, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, სარაევი, ვორონინი, სტაფეროვი, ლენიოვი, სტრელცოვი (ბოროვიკი), შალიმოვი, ბრედნეევი, მიხაილოვი.

მსაჯი მ. პინსკი (ხარკოვი).

დუბლიორები – 2:2.

ისეთ დიდმნიშვნელოვან მატჩში, როგორიც გუშინ იყო, არ შეიძლება ხელიდან გაუშვა გოლის გატანის თუნდაც სულ პატარა შესაძლებლობაც კი. ერთი გოლი ბევრს წყვეტს. დინამოელებმა კი ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე საუკეთესო მომენტი და საბოლოოდ იძულებული იყვნენ დასჯერებოდნენ ნულოვან ფრეს და მხოლოდ 1 ქულას.

ანგარიშის გახსნა თბილისელებს დასაწყისშივე შეეძლოთ: პირველივე წუთზე მეტრეველი გავიდა მარჯვენა ფლანგზე და კარის შორეულ ძელთან მიაწოდა ბურთი, რომელსაც წამით ვერ მიასწრო იამანიძემ. ეს მოხდა კავაზაშვილთან ისე ახლოს, რომ კარის ხსნა მას არაფრით შეეძლო.

მასპინძელთა ამ პირველ შეტევებს მოჰყვა 15-წუთიანი შტურმი, რომლის დროსაც თითქმის მთელ “ტორპედოს” უხდებოდა თავის საჯარიმო მოედანზე ყოფნა. ტონი თავდასხმას მისცა მესხმა. იგი საშუალებას არ აძლევდა მოწინააღმდეგის დაცვას მოეწესრიგებინა თავისი რიგები და ზედიზედ, განუწყვეტლივ გადიოდა გარღვევაზე. დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში მოსკოველები ღრმა ზურგში იმყოფებოდნენ და მხოლოდ ერთხელ გადავიდნენ იერიშზე, რომელიც დამთავრდა მიხაილოვის სახიფათო გასვლით კართან. ურუშაძემ აიღო ძნელი ბურთი.

მაგრამ განვლო ტაიმის ნახევარმა და დინამოელთა თამაშში როგორღაც უცებ იკლო ტემპმა, გუნდი თითქოს მისდაუნებურად აჰყვა მოსკოველებს და სრულიად გაუმართლებლად გადავიდა პოზიციურ მოქმედებაზე. სტუმრები, ცხადია, არ ამწვავებდნენ მდგომარეობას და ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ, რათა ბურთის გატანის შესაძლებლობა შეექმნათ თავიანთი მთავარი ბომბარდირის – სტრელცოვისათვის.

ასეთი შესაძლებლობა მოსკოველებმა ვერ მიიღეს. მასპინძლებს კი რამდენიმეჯერ შეეძლოთ კარის აღებით დაემთავრებინათ შეტევა. მაგალითად, მე-19 წუთზე მესხი პირისპირ აღმოჩნდა კავაზაშვილთან. მართალია, ფორვარდი ძნელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა მაინც შეიძლებოდა. მეკარემ კი დაასწრო მას და იხსნა კარი.

კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელსაც შეეძლო ჩვენი გუნდისთვის გამარჯვების მოტანა, შეიქმნა 83-ე წუთზე. გ. სიჭინავასი და მეტრეველის მიერ სწრაფად გათამაშებული კომბინაცია ამ უკანასკნელმა უმძლავრესი დარტყმით დაამთავრა და “ტორპედო” გოლისაგან იხსნა... ზედა ძელმა.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 22 ნოემბერი, 1966 წ.